საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება № 20

ბათუმი „25" ივნისი 2024 წ.

უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის", უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2024 წლის 25 ივნისის N1033 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგი ვაკანტური თანამდებობები:

- საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამი საშტატო ერთეული).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადდეს დახურული კონკურსი.

3. დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიამ (ვ. ცეცხლაძე) უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატში ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე დახურული კონკურსის ჩატარება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით არაუგვიანეს 2024 წლის 31 ივლისისა.

5. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს და უმაღლესი საბჭოს აპარატის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ვაჟა ცეცხლაძეს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე